ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ნუგზარ ურუშაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

საანგარიშო პერიოდი: 2016/01/01 -2017/01/01

2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 22 სხდომაში, რომელთა მიმდინარეობისას მიღებული იქნა 73 განკარგულება, დამტკიცდა 28 დადგენილება. ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს, ასევე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურული კომისიის და აგრარული საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრი.

დავესწარი და აქტიური მონაწილეობა მივიღე აღნიშნული კომისიების 47 სხდომაში, სადაც მიღებული იქნა სხვადასხვა საკითხებიდან გამომდინარე კომისიების დასკვნები და რეკომენდაციები. საკრებულოს კომისების მიერ განხორციელდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში „სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში" განხორციელებული და განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი. საკრებულოს მუშაობის პერიოდში ჩემს მიერ მხარდაჭერილი იქნა თითქმის ყველა ინიციატივა.

ასევე მინდა იმ მნიშვნელოვან პროექტს შევეხო, რომელიც ურეკი - შეკვეთილის ტურისტულ - სარეკრიაციო კომპლექსის განაშენიანების გენერალური გეგმის და განაშენიანების წესის დამტკიცებას ეხება. აღნინული პროექტის განხორცილებით, იგეგმება საკურორტო ზონის გეგმაზომიერი განვითარება. მიმაჩნია, რომ ეს ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

საკრებულომ დაამტკიცა, 2017 წლის მთავრი საფინანსო დოკუმენტი, რომლის ფორმირებაშიც აქტიურად ვმონაწილეობდი. აღსანიშნავია რომ ბიუჯეტი პროგრამულ ჭრილში იქნა წარმოდგენილი, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. ასევე მოგახსენებთ, რომ ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე 2016 წელთან შედარებით, დაახლოებით 1 მილიონით გაიზრდა ბიუჯეტი და 10 მილიონიან ნიშნულს გადააჭარბა. პრორიტეტებად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის მშენებლობა-ექსპლოატაცია და სკოლამდელი განათლება. ბიუჯეტში ამ მიმართულებით თანხები გაზრდილია. მხარი დავუჭირე გადაწყვეტილების შპს „სატისი" -ს შექმნას, რადგან მიმაჩნია, რომ შპს- ს აქტიური მუშაობა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების უზრუნველყოფას.

2017 წელს დაგეგმილია სერიოზული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის და განსაკუთრებით შეჭირვებული ფენებისათვის სოციალური ყოფის კიდევ უფრო გაუმჯობესება და რაც მთავარია მომავალი თაობისთვის უკეთესი გარემოს შექმნა.

მოსახლეობასთან, გრაფიკით განსაზღვრული მაქვს თვეში ორჯერ შეხვედრის დღე, თუმცა, კვირის სხვა დღეებშიც ვხვდები და ვეცნობი მათ პრობლემებს, როგორც საკრებულოში, ასევე უშუალოდ ადგილზე, ჩემს სახელზე შემოსული წერილობითი და ზეპირი განცხადებები ძირითადად სოციალური და ინფრასტრუქტურული ხასიათისაა. მოქალაქეები ითხოვენ მკურნალობის დაფინანსებას, სწავლის დაფინანსებას, სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციას, სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფას , სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციას, გარე განათების პრობლემის მოგვარებას და სანაგვე ურნების დამატებას და ა.შ.

მე, როგორც საკრებულოს წევრი, ყველა ჩემს სახელზე შემოსული ზეპირ და წერილობით განცხდებების საფუძველზე მოქალაქეებს შუამდგომლობას ვუწევდი როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, ასევე სხვა ორგანოებთან, უმეტესწილად მოსახლეობის თხოვნები გათვალისწინებული იქნა.

სამომავლოდ ვგეგმავ, დარგობრივ კომისიასთან ერთად, ჩემს მიერ შესწავლილი იქნას ე.წ. ქვაღორღის გადამამუშავებელი კარიერების ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების რისკები. ასევე, მონიტორინგს გავუწევ ქარსაცავი ზოლის შენარჩუნება-რეაბილიტაციას, რადგან ვთვლი რომ მოსახლეობის მხრიდან რიგ შემთხვევებში ფიქსირდება ვარგისი ხეების ლიკვიდაცია.

ვაპირებ, ვიმუშავო ადგილობრივ მოსახლეობასთან, ძირითადად ახალგაზრდებთან სამოქალაქო განათლების კუთხით, რათა მაქსიმალურად მოხდეს მათი ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში. ვთვლი, რომ მოსახლეობასთან უფრო აქტიური კომუნიკაცია, საკრებულოს ფუნქციონირებას გახდის უფრო ქმედითს და მოსახლეობის ინტერესებზე ორიენტირებულს.

ეს რა თქმა უნდა არ არის საკმარისი, თუმცა მე და წარმომადგენლობითი ორგანო, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი, ყოველთვის მზად ვართ ვიდგეთ მოსახლეობის გვერდით.

ვიმედოვნებ, რომ მომავალი წელი გაცილებით უკეთესი იქნება ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული მოსახლისთვის და საკრებულოს ყველა გადაწყვეტილება იქნება მოსახლეობის ინტერესების ამსახველი და შედეგზე ორიენტირებული.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი ნუგზარ ურუშაძე